საქართველოს მთავრობის

დადგენილება №237

2025 წლის 27 ივნისი

ქ. თბილისი

„ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის №44 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/01/2011, 010220020.10.003.016205) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით სამთავრობო კომისიის შემადგენლობა

1. **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი** – კომისიის თავმჯდომარე.

2. **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე** – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე –** კომისიის წევრი.

4. **საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

5. **საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

6. **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე** – კომისიის წევრი.

7. **საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

8. **საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

9. **საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

10. **საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

11. **საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

12. **საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

13. **საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილე** – კომისიის წევრი.

14. **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე** – კომისიის წევრი.

15. **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე** – კომისიის წევრი.

16. **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მინისტრი** – კომისიის წევრი.

17. **ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე** – კომისიის წევრი.

18. **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე** – კომისიის მდივანი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**